ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცე/N(N)LP FreeMediaSpace

ს/კ 437065916; e-mail:freemediaspace@gmail.com; www.fms.ge;tel.: 577 724740

#17 15.11.2016 წელი

ბ-ნ ი. ხარებავას

გაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

ვ. აბაშიძე
15.11.2016წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

კომისიის 2016 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ქსელის ექსპლოატაციაში გაშვების თარიღი არის 2017 წლის 1 ნოემბერი, ხოლო პრაქტიკული საქმიანობის დაწყების თარიღი არის 2017 წლის 10 ნოემბერი.
აქვე დანართის სახით გიგზავნით განსახორციელებელი სამუშაოების დაფინანსების წყაროების შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ავთანდილ გველებიანი

7.6/12102.16
15 11 16
1+1

## განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა, ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ

„თავისუფალი მედია სივრცე“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველყოფას გეგმავს საკუთარი საქმიანობით მოზიდული ფინანსური სახსრებით.

განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმილი კაპიტალური ხარჯი შეადგენს – 60 000 ლარს;

განსახორციელებლად საჭირო თანხები

დღევანდელი მდგომარეობით საკუთარ საბანკო ანგარიშებზე აკუმულირებული და დაგეგმილი სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხები – 15 000 ლარი; 10 000 აშშ დოლარი

2016 წელს შესრულებული სამუშაოებიდან მისაღები თანხები – 4 000 ლარი;

2017 წელს დაგეგმილი შემოსავალი – ხელშეკრულებით სარეკლამო კომპანიისათვის მიყიდული დრო 1500 წუთი თვეში – 6 000 ლარი მინიმალური შემოსავალი თვეში; 1 მაისისათვის შემოსავალი 24 000 ლარი.

სულ 2017 წლის 1 მაისისათვის

| # | შემოსავლის სახე | თანხა (ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საკუთარ ანგარიშებზე დღეისათვის აკუმულირებული თანხები (ორივე ანგარიშზე ჯამურად) | 39 000 |
| 2 | 2016 წელში შესრულებული სამუშაოებიდან მისაღები თანხები | 4 000 |
| 3 | 2017 წლის პირველ ექვს თვეში დაგეგმილი შემოსავლები | 24 000 |
| | სულ | 67 000 |